ნანა კუცია

გიორგი სოსიაშვილის „გამორთული მთვარე“, ერთდროულად, პროვიდენციულ და ტელეოლოგიურ მოთხრობათა კრებულია. მონათხრობი კონტრაპუნქტში ერთიანდება და მიუხედავად ყოველი ცალკეული ამბის აბსოლუტური ავტონომიურობისა და თვითკმარობისა, ნარატივი აღიქმება ერთიან ტრაგიკულ ტილოდ, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი მეოთხედის პირუთვნელ ანარეკლად.

ქართველ მემატიანეთა მრწამსით, ისტორია ჭეშმარიტის თხრობაა, ჟამიერ-წარმავალში ლოგოსურის განჭვრეტა და სწორედ ეს ესაფუძვლება ყოველი ღირებული ტექსტის პროვიდენციულობას და ტელეოლოგიურობას, რასაც უზუსტესი ფორმულით, ლაპიდარულ-ლაკონიურად კონსტატირებდა გრიგოლ რობაქიძე-„არსის ხვედრი არსშია თვითონ“.

ასეთ სიბრძნემდის მხოლოდ მრავალათასწლოვანი ერები მაღლდებიან. ქართველ ერს, თავისი ამჟამინდელი უბადრუკი ყოფის მიუხედავად, მრავალათასწლოვანი ისტორიაც სწყალობებია, სიბრძნეც და სიმაღლეც. მით უფრო საშურია გააზრება - გაცნობიერება იმისა, რად ვერ გადასწონის ამჟამინდელი ყოფის უბადრუკობას ვერც მრავალათასწლოვანი ისტორია, ვერც სიბრძნე, ვერც სიმაღლე, რატომაა ქართულ ცაზე ლამის მუდმივად გამორთული მთვარე და რად გადაგვქართულებია გულიდან მთავარი.

ვციტირებთ: „რა საოცარი სიტყვაა ეს გადაქართულება-დავიწყება...ქართველები გულმავიწყი ხალხი ვართ-წყენაც მალე გვავიწყდება და ისიც, რომ ვიღაცისთვის სიკეთეს ვთესავთ.

ეს „გადაქართულება“ კრებულის მთავარ მოთხრობაში - „2008 წლის შვებულება“ - იმავე ტრაგიკულ კონტექსტს დაიმარხავს, რასაც „გარდაგვლარძნა“ იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ – „ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგვლარძნეს...შიშითა განილევნიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამი - ქართაგან ძლიერთა“.

„გადაქართულება“, „გარდაგვლარძნა“ - გულმავიწყობა და გაგულგრილება ხასიათის ძარღვი როდი, მხოლოდ ლეჭია, მაგრამ ოთარ ჩხეიძე წერდა, რომ „ლეჭიც შეიძლება თვისებრივს შეერიოს“...

„თვისებრივის“, არსებითის, „ძირკველთა საძირკვლის“ (როგორც ესმა ონიანი იტყოდა) გადასარჩენად დაწერილი წიგნია „გამორთული მთვარეც“, მისი ჩინებული რეზიუმე-წინასიტყვაობაც - სოსო ჭუმბურიძისეული, წიგნის მთავარ პარადიგმად რომ ულამაზეს ენიგმას - „ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრალ მზის სხივს“ აირჩევს; ტექსტში უამრავი სხვა მშვენიერი ენიგმაცაა, მარტო პეიზაჟები რად ღირს, შემოსილი მეხსიერების „გამჭვირვალე ბლონდებით“ – „ბინდის ქსოვილში მიყუჩებული მტკვარი’ თუ მარიამობისთვის მეწამული ცა, ხანაც ნამრუდისფერი; მომაკვდავი მზე, მთების უბეში გაშლილ სამარეში რომ ეშვება, სუდარად შედედებულწითელღრუბელგადაფარებული - ხვალ რომ მკვდრეთით აღდგება“...

ეს წიგნი ჯვარცმასა და აღდგომაზეა, ჯოჯოხეთში - სამოთხის ხსოვნაზე, რამაც უნდა დაგარჩინოს და გადაგარჩინოს...

„გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკად“ აღიქმება ერთიმეორეზე უფრო სულისშემძვრელი ამბები - ქართულ ცაში რუსული ბომბდამშენების ირაო, ქართულ მიწაზე ოსური დროშის ფრიალი, ბოღჩაგამოკრული მკვიდრი, უმისამართოდ მოწოწიალე („სხვაგანაც [რომ] დაიწყევა) და აღლაღებული მოძალადე, მკვიდრის ნიღაბმორგებული, ბნელში ასვეტილი სტალინის ძეგლი, ბუდემოშლილი ჩიტები და უპატრონოდ დაყრილი ძაღლები, აჩეხილ - გაკაფული, ბაღები და გადაბუგული სახლები, დაცლილი ჭურები და მიტოვებული სამლოცველოები.

თხრობის პუბლიცისტური მანერა, ალაგ - ალაგ მაღალი ბელეტრისტიკის ტვიფრით აღბეჭდილი, დოკუმენტურისა და მხატვრულის გემოვნებიანი ნაზავი განსაკუთრებულ სიმძაფრესა და სიღრმეს სძენს ნარატივს, თითქოს მზა მასალას მხატვრულ - დოკუმენტური ფილმის სცენარისათვის. აქ დრამატურგიცა და რეჟისორიც თავად ცხოვრებაა - სისასტიკისა და დანდობის, გაუტანლობისა და თავგანწირვის, სიძულვილისა და სიყვარულის ოქსომორონებით მდიდარი და „დამაფიქრებელი“.

ცაზე ვარსკვლავთა ჟიკჟიკს აქ მიწიდან უპატრონო ძაღლების ყმუილი ესიტყვება, გადამთიელ ჯარისკაცთა ცინიზმს ბერ - მონაზონთა მშვიდი საგალობელი უხვდება ფარად, სახელდახელო გეტო - საცხოვრისებში გამომწყვდეულნი სიცოცხლის ფასად უბრუნდებიან ლიბოს, ვერავინ რომ ვერასდროს მოუშლით, ჩვიდმეტნი ასეულს დაუპირისპირდებიან, რადგან აქ სამშობლოა - უფლისგან მიწაზე ღვთად მოცემული; მტრის მავთულხლართი გულს გლეჯს და არა მიწას, მაგრამ ეს ქართული გულია - მტრობის და სიძულვილის არმცოდნე, და მთვარეც რომ გამოირთოს, ეს გული სიყვარულს მაინც დაინარჩუნებს...ყველაფრის მიუხედავად.. აქ ბოროტზე სიკეთი ძლევისა სჯერათ.....